86 წელი თქვენთან ერთად!

86 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი. გამოცემის 87-ე წელი.



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე
მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №7 {7012} 31 მარტი 2020 წელი • www. Terjola. gov. ge

კორონავირუსი COVID—19

გლობალური საფრთხე და ჩვენი პასუხისმგებლობა!



ვირუსის გავრცელების გეოგრაფია

2020 წლის 31 მარტი, 13 სთ 30 წთ.

მსოფლიოში...



ქვეყანა — 204
დაინფიცირებული —789 281
გარდაცვლილი — 38 172
გამოჯანმრთელებული —170 577

საქართველოში...



დაინფიცირებული—110
გარდაცვლილი—0
გამოჯანმრთელებული—21

ბონდო სოფრომაძე: „ჩვენი დაბეჯითებული თხოვნა და მოთხოვნაა—დარჩით სახლში, ნუ დაარღვევთ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმს!“

2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით, კორონავირუსის გამო თერჯოლის მუნიციპალიტეტში თვითიზოლაციაშია 37 მოქალაქე, თვითიზოლაცია დაამთავრა 43 მოქალაქემ, კარანტინშია 14. სამწუხაროდ, COVID-19-ის დაავადება დაუდგინდა 2 მოქალაქეს — აქედან, ერთი არ არის თერჯოლის მაცხოვრებელი.

ამ დღეებში ჩვენ შევხვდით თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს ბონდო სოფრომაძეს, რომელიც ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის პირობებში მუნიციპალიტეტში არსებული სიტუაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ კორონავირუსის პრევენციისათვის გაწეული საქმიანობის თაობაზე გვესაუბრა.

ბონდო სოფრომაძე—უპირველესად ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ჩვენი რეაგირება კორონავირუსის პრევენციასთან დაკავშირებით მთავრობის პირველსავე განცხადებაზე იყო მყისიერი, რაც ასეთივე ტემპში გაგრძელდა და მიმდინარეობს დღესაც, როცა ქვეყანაში გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა.

შეწყდა პროცესი ყველა სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებაში, შევიძინეთ სპეციალური სადეზინფექციო საშუალებები ამ დაწესებულებების შენობა-ნაგებობათა სრული მოცულობით შესაწამლად, რაც განვახორციელეთ კიდეც.

ჩვენი ძალებით დეზინფექცია ასევე ჩაუტარდა არამარტო მათ, არამედ მუნიციპალიტეტში განთავსებულ ყველა ადმინისტრაციულ შენობას, მასობრივი თავშეყრის ადგილებს, ტრანსპორტს. ამჟამად დაწყებულია და მიმდინარეობს განმეორებითი სადეზინფექციო სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა—როგორც მერია, ისე საკრებულო გადასულია საქმიანობის საგანგებო რეჟიმზე. გადავედით დისტანციური მუშაობის წესზე, შევქმენით კორონავირუსის პრევენციის სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ჩემი პირველი მოადგილე მანუჩარ ფანჩულიძე ხელმძღვანელობს. ამ ჯგუფში გარდა ჩვენი პასუხისმგებელი მუშაკებისა ჩართული არიან როგორც საჯარო მოხელეები, ისე მედიკოსები და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები, რაც გვიადვილებს მიღებული გადაწყვეტილებების დროულ რეალიზებას.

მკაცრი კონტროლი გვაქვს დაწესებული საგანგებო მდგომარეობით ქვეყანაში გამოცხადებული წესების დაცვაზე. დაკეტილია ყველა ის დაწესებულება, რომელთა საქმიანობა აკრძალულია საგანგებო მდგომარეობის გამო, გაჩერებულია საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ჩვენი მუდმივი მონიტორინგის ქვეშაა მუნიციპალიტეტის სასურსათო პროდუქტებით სრულად უზრუნველყოფა, ასევე ფასები სასურსათო-სავაჭრო ობიექტებში.

პირადად მე, მოადგილეებთან ერთად, პერიოდულად ვაკონტროლებთ სურსათით მოვაჭრე ობიექტებს. საგაზაფხულო ხვნა-თესვის სამუშაოებთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ და ანალოგიურ კონტროლს ვაწესებთ შხამ-ქიმიკატების ფასებზე, რომ ის იყოს მეურნე ადამიანების ხელმისაწვდომობის ფარგლებში. ზედამხედველობის ასეთმა პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ იგი აუცილებელი და საჭირო მნიშვნელობის ღონისძიებაა.

საგანგებო რეჟიმის პირობებში ჩვენი მუდმივი საზრუნავია მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი მოწყვლადი ჯგუფი, ქრონიკული ავადმყოფები, 70 წელს გადაცილებული მოქალაქეები, მარტოხელები. მათთან მუშაობისათვის შექმნილი გვაქვს მოხალისეთა ჯგუფები. ამ დღეებში ჩვენ, ასეთი კატეგორიის ათეულობით ადამიანებს საკმაოდ სოლიდური სასურსათო პაკეტები გადავეცით საჩუქრად.

მინდა ვისარგებლო შესაძლებლობით და თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო ლიბერთი ბანკის ხელმძღვანელობას, თერჯოლის ფილიალის თანამშრომლებს, იმ სასარგებლო ქმედებისათვის, რაც მათ თერჯოლელი პენსიონერებისთის აპრილის თვის პენსიის წინასწარ ჩარიცხვაში გამოიხატა. ამ საქმეში კონკრეტული მონაწილეობა ჩვენმა საჯარო მოხელეებმაც მიიღეს.

ასევე განსაკუთრებულია ჩვენი დამოკიდებულება იმ ცალკეული მოქალაქეების, ფუნქციონირების რეჟიმში მყოფი ჩვენი სამსახურეების და ნებადართული საწარმოო-დაწესებულებების მიმართ, რომელთა მუშაობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოსახლეობისათვის, ჩვენი ეკონომიკისათვის. ამასთან, პოლიციასთან და ჩვენი ზედამხედველობის სამსახურთან ერთად ვაკონტროლებთ მათ მიერ საგანგებო რეჟიმის პირობებში უსაფრთხოების წესების დაცვას.

მკაცრი კონტროლი გვაქვს დაწესებული მუნიციპალიტეტში თვითიზოლაციაში მყოფ ჩვენს მოქალაქეებზე, რომელთაგან 43 დაამთავრა ორკვირიანი ვადა, ხოლო 37 გასავლელი აქვს ეს პერიოდი.

დასახლებულ პუნქტებში, მოსახლეობის ინფორმირებისათვის, მანქანების შემოვლის წესით, რეგულარულად ვიყენებთ ხმამაღლა მოლაპარაკეებს, ე.წ. მეგაფონებს, რომლითაც მათ მოვუწოდებთ, რომ კორონავირუსის დასამარცხებლად აუცილებელია დარჩნენ სახლში, დაიცვან დადგენილი რეკომენდაციები, სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, სოციალური დისტანცია.

ამ პერიოდში ჩვენ ასევე მოვახდინეთ 4 ტაძრის ხმის გამაძლიერებლებით უზრუნველყოფა, რათა წირვებზე მრევლის სიმრავლის შემთხვევაში მორწმუნეებმა ლოცვა ტაძრების ეზოებში შეძლონ ყოველგვარი შეფერხების გარეშე და სხვა.

ჩვენ ცხოვრება და განვითარება არ უნდა შევწყვიტოთ. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ღირსეულად გავუმკლავდეთ ვირუსის არამარტო გავრცელებას და მის მიერ გამოწვეულ ინფექციას, არამედ ეკონომიკურ გამოწვევებსაც!

მინდა მოსახლეობას ვუთხრა, რომ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, ჩვენ მაქსიმუმს ვაკეთებთ მუნიციპალიტეტში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. ყველაზე მნიშვნელოვან პროექტებზე უკვე შედგა გამოცხადებული ტენდერები, გამოვლინდა გამარჯვებული კომპანიები, ამჟამად მიმდინარეობს მათთან ხელშეკრულებების გაფორმება და სამუშაოებიც დღე-დღეზე დაიწყება. გარდამავალ ობიექტებზე კი მუშაობა ამჟამადაც მიმდინარეობს. მაგ. ქვედა სიმონეთში 6 კმიანი გზის მოწყობაზე და სხვა.

ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ჩვენ მუნიციპალიტეტს წელს შეემატება 3 საჯარო სკოლის ახალი შენობა სიქთარვაში, ახალთეჯოლასა (მეტლახი) და საზანოში (26 მაისი), რაც კარგი საჩუქარი იქნება ჩვენი მომავალი თაობისათვის.

დაიწყება თერჯოლის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოების მეტად საჭირო პროექტის განხორციელება და სხვა მრავალი.

როგორც მთელი კაცობრიობა, ისე ყოველი ჩვენგანი დიდი განსაცდელის, დიდი გამოწვევა-გამოცდის წინაშე ვართ—თუ ვიქნებით ორგანიზებული და მაღალი პასუხისმგებლობით მოვეკიდებით ხელისუფლების, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და ჩვენი ქვეყნის დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებს, კორონავირუსს აუცილებლად დავამარცხებთ!

ჩვენი დაბეჯითებული თხოვნა და მოთხოვნაა დაიცვათ დადგენილი წესები! დარჩით სახლში!

ესაუბრა
დავით კლდიაშვილი

საყოველთაო კარანტინი კომენდანტის საათით!

ახალმა კორონავირუსმა სულ რაღაც 3 თვეში რადიკალურად შეცვალა მსოფლიოს ცხოვრების ჩვეული რიტმი, თითოეული ჩვენგანის ყოველდღიური ყოფის დღის წესრიგი.

ეს-ესაა, რაც დემოკრატიულ გარემოში ცხოვრების ანა-ბანასთან შეჩვევა დავიწყეთ და უკვე ამ სწავლებაში მკაცრი რეგულაციების ჩანაცვლებას უნდა შევეგუოთ. და არა მარტო შევეგუოთ, არამედ უნდა გავითავისოთ ის, რომ ამ მკაცრი რეგულაციების და რჩევა-რეკომენდაციების გარეშე ჩვენი ჯანმრთელობა წარმოუდგენელია.

მაგრამ სამწუხაროდ, როგორც განვლილმა პერიოდმა აჩვენა ჩვენი მოსახლეობის ნაწილი არა თუ ზუსტად ასრულებდა, არამედ აშკარად უგულველყოფდა კორონავირუსის პრევენციისათვის დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისა და საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებულ რეკომენდაციებს, რის გამოც საქართველოს მთავრობა იძლებული გახდა ჯერ დამატებითი შეზღუდვები გამოეცხადებინა, შემდეგ კი, 21 მარტს საგანგებო მდგომარეობა სრულიად საქართველოში. ახალი ეპიდცენტრის გაჩენის აღსაკვეთად მალე კარანტინი დაწესდა მარნეულსა და ბოლნისის რაიონებში. 30 მარტს კი ბრიფინგზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ კარანტინი გამოაცხადა. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

საყოველთაო კარანტინი 31 მარტის დილის 8 საათიდან დაიწყო, დაწესდა კომენდანტის საათი — მოქალაქეებს ქუჩაში გადაადგილება 21:00 საათიდან დილის 6 საათამდე აეკრძალათ, პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საყოველთაო კარანტინის ფარგლებში იკრძალება ნებისმიერი ტიპის საზოგადოებრივი ტრანსპორტით, მათ შორის მეტროთი გადაადგილება.

● სრულად იკრძალება ნებისმიერი ტიპის საზოგადოებრივი ტრანსპორტით (მათ შორის მეტროთი) გადაადგილება, როგორც ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებს შიგნით, ისე - ქალაქებს შორის.

● დასაშვებია მხოლოდ მსუბუქი ავტომობილებით (მათ შორის ტაქსებით) მგზავრობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაცია და ავტომობილში იქნება მხოლოდ 3 ადამიანი, მათ შორის, მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 2 ადამიანი იქნება უკანა სავარძელზე. ეს არის ძალზედ მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, რომლის არ გათვალისწინების შემთხვევაშიც შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები მიიღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს.

● ასევე, მგზავრთა გადაყვანა დასაშვებია მხოლოდ სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების თანამშრომელთა ორგანიზებულად და უსაფრთხოდ გადაყვანის მიზნით.

● იკრძალება 3-ზე მეტი პირის თავშეყრა, გარდა სასურსათო მაღაზიებისა და აფთიაქისა, სადაც სავალდებულოა დაცული იყოს 2 მეტრიანი სოციალური დისტანცია.

● ამასთან, მთავრობის მიერ ნებადართულ საწარმოებში მუშაობის წესი ცალკე იქნება გაწერილი და ექნებათ ცალკე პროტოკოლები, ჯანდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული. ჩვენ ამას ვაკეთებთ იმისთვის, რომ ეკონომიკამ განაგრძოს ფუნქციონირება და ის პოტენციალი, რომელიც გააჩნია საქართველოს ეკონომიკას, სრულად არ იყოს გაჩერებული. ასევე, რა თქმა უნდა იმისთვის, რომ ჩვენმა მოქალაქეებმა მაქსიმალურად შეძლონ სამუშაო ადგილების შენარჩუნება.

● აკრძალული იქნება 70 წელს ზემოთ ჩვენი მოქალაქეების სახლიდან გასვლა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი მიდიან უახლოეს სასურსათო მაღაზიებში, უახლოეს აფთიაქსა ან უახლოეს სამედიცინო დაწესებულებაში.

● იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი 70 წელს გადაცილებული მოქალაქეები არიან მარტოხელები მათ მიმართ ვალდებულება აქვს, რომ დაეხმაროს ეკონომიკისა და ჯანდაცვის სამინისტროებს, აგრეთვე, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს.

● ყველაზე მნიშვნელოვანი - საგანგებო მდგომარეობის ვადით ცხადდება ფაქტობრივად სრული კარანტინი. 21:00 საათიდან იკრძალება, როგორც ქვეითად, ისე - სატრანსპორტო საშუალებით ქალაქებში და ქვეყნის მასშტაბით გადაადგილება დილის 06:00 საათამდე. ფაქტობრივად, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ, ფაქტობრივად ეს ნიშნავს, რომ, ქვეყნის მასშტაბით, 21:00 საათიდან დილის 06:00 საათამდე, ცხადდება ე.წ. კომენდანტის საათი.

● პირთა გადაადგილების კონტროლისა და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების მიზნით, პირთა გადაადგილების კონტროლის და საგანგებო მდგომარეობის გამკაცრებული პირობების და ამ პირობების შესრულების მიზნით, ასევე პირველადი თერმოსკრინინგის მიზნით მოეწყობა საკონტროლო პუნქტები - ქ. თბილისში, ქ. ბათუმში, ქ. ქუთაისში, ქ. რუსთავში, ქ. ფოთში, ქ. ზუგდიდსა და ქ. გორში. ამ ქალაქების ადმინისტრაციული საზღვრების კონტროლის მიზნით. ამ ღონისძიებას განახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალები და მასთან ერთად ჩართული იქნებიან თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი უწყებები.

● ძალზედ მნიშვნელოვანი პუნქტი - ნებისმიერ მოქალაქეს ნებისმიერ დროს ქალაქში გადაადგილებისას თან უნდა ჰქონდეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

„ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი ვალდებულია დაიცვას საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი. წინააღმდეგ შემთხვევაში საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა გამოიწვევს: ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას - ჯარიმას ფიზიკური პირებისთვის 3 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირებისთვის - 15 000 ლარის ოდენობით; იგივე ქმედება განმეორებით გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით“.

„თერჯოლა“

რა სიმპტომები აქვს კორონავირუსს და როგორ დავიცვათ თავი ინფექციისგან?

ჯერჯერობით არ არსებობს ახალი კორონავირუსის ვაქცინა. ამიტომ მოვერიდოთ ინფიცირებას—ესაა საუკეთესო გზა ვირუსისგან თავის დასაცავად!

ο ვირუსი ძირითადად ადამიანიდან ადამიანზე გადადის იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ახლო კონტაქტში არიან (2 მეტრამდე).

ο გადადება ხდება ჰაერწვეთოვანი გზით, როდესაც ინფიცირებული ადამიანი ახველებს ან აცემინებს

რა სიმპტომები აქვს ახალ კორონავირუსს?

—ვირუსის საინკუბაციო პერიოდი 2 დან 14 დღემდეა, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. უმრავლეს შემთხვევებში ვირუსი სიმპტომების გარეშე მიმდინარეობს და დაავადებულთა უმეტესობას სამედიცინო ჩარევა არ სჭირდება.

—ახალი კორონავირუსის მთავარ სიმპტომებს შორისაა: სუნთქვის გაძნელება; მშრალი ხველა; სიცხე; დაღლილობა. ზოგიერთ პაციენტს ასევე აღენიშნება ტკივილები სხეულში, დიარეა, სურდო.

როგორ დავიცვათ თავი

ხშირად დაიბანეთ და გაიწმინდეთ ხელები

• იბანეთ ხელები ხშირად, საპნითა და წყლით, სულ მცირე 20 წამის განმავლობაში. განსაკუთრებით, ცხვირის მოწმენდის, დაცემინების ან დახველების შემდეგ, ან თუ საზოგადოებრივ ადგილებში იმყოფებოდით.

—დაიმუშავეთ ხელები ალკოჰოლიანი გელით - დაიმუშავეთ მთელი ხელი, ასევე თითებს შორის ადგილები, მაჯები.

—მოერიდეთ თვალების, პირისა და ცხვირის დაუბანელი ხელით შეხებას.

მოერიდეთ ახლო კონტაქტს

—მოერიდეთ ადამიანებთან ახლო კონტაქტს

—დაიცავით დისტანცია—ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რისკ-ჯგუფში მყოფთათვის.

დაიცავი სხვები

დარჩი სახლში!

დარჩი სახლში- თუ თავს ცუდად იგრძნობთ, მიმართეთ ექიმს

თუკი ვახველებთ ან ვაცემინებთ

• სახეზე აიფარეთ ერთჯერადი ხელსახოცი ან მოხრილი იდაყვი

• გამოყენებისთანავე გადააგდეთ ხელსახოცი და თავი დაახურეთ სანაგვე ყუთს

• მაშინვე დაიბანეთ ხელები საპნით ან გაიწმინდეთ ალკოჰოლის შემცველი გელით.

ნუ გამოიყენებთ ნიღაბს, თუ ჯანმრთელი ხართ

• თუ ავად ხართ: გამოიყენეთ ნიღაბი თუ გაქვთ რესპირაციული სიმპტომები (ცხელება, ხველება, გამონადენი ცხვირიდან)

• თუ ჯანმრთელი ხართ: თქვენ ნიღბის გამოყენება არ გჭირდებათ (თუ არ უვლით ავადმყოფს, რომელიც ვერ იყენებს ნიღაბს)

წმენდა და დეზინფექცია

• გაწმინდეთ და დეზინფექცია გაუკეთეთ ზედაპირებს, რომლებსაც ყოველდღიურად ეხებით (მაგიდა, კარის სახელურები, ტელეფონი, ლეპტოპის კლავიატურა და სხვა)

• თუ ზედაპირი ჭუჭყიანია, აუცილებლად გაწმინდეთ: გამოიყენეთ სპეციალური საწმენდი საშუალებები ან საპონი.

რჩევები მომზადებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, აშშ-ს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის და საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებზე დაყრდნობით.

ბანკები და ჩვენი ფინანსური პრობლემები

ახალმა კორონავირუსმა უკვე მოიტანა მძიმე ეკონომიკური შედეგები, სამუშაო დაკარგა მილიონობით ადამიანმა, მილიონობით ადამიანი დადგა ფინანსური კრიზისის წინაშე. რა თქმა უნდა, ეს პროცესი სარკისებურია საქართველოშიც. უფასურდება ლარი, ადამიანები ვეღარ ახერხებენ საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულებას. ბუნებრივია, ასეთ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელოვან როლს იძენს ჩვენი ეკონომიკის ისეთი მძლავრი ღერძი, როგორიცაა საქართველოს საბანკო სისტემა, რომელმაც არაერთი კარგი და სასარგებლო სერვისი შესთავაზა მოსახლეობას ასეთი გაუარესებული მდგომარეობის შერბილებისათვის. ამ მხრივ ჩვენს მუნიციპალიტეტში კარგად მუშაობენ საქართველოს, თიბისი და ლიბერთი ბანკები.

ამ დღეებში შევეხმიანეთ საქართველოს ბანკისა და თიბისი ბანკის პიარსამსახურის ხელმძღვანელებს სოფო ფერაძესა და სოფიო კვინტრაძეს, რომლებმაც ოპერატიულად მოგვაწოდეს ინფორმაციები ამ ბანკების მიერ ამ მხრივ გადადგმულ ნაბიჯებზე. მადლობა მათ.

საქართველოს ბანკი

საქართველოს ბანკი იყო პირველი, რომელმაც ვირუსით გამოწვეული კრიზისის ფონზე პირველივე დღეებში გადადგა არაერთი ნაბიჯი პრევენციისთვის.

ბანკმა პირველმა განაცხადა მზაობა სასტუმრო ბიზნესისთვის შეღავათების დაწესებაზე, რომელიც ყველაზე ძლიერ დაზარალდა ვირუსის გავრცელების პირველივე ეტაპზე.

საქართველოს ბანკმა, მომხმარებელზე ორიენტირებულმა ბანკმა, პირველმა გააკეთა განცხადება ფიზიკური პირების სესხებზე საშეღავათო პერიოდის შესახებ და ასევე ინტერნეტ და მობილბანკზე საკომისიოს განულების შესახებ, რათა მაქსიმალურად შეემცირებინა მომხმარებლის ფილიალებში ვიზიტი. ამ მიზნით საქართველოს ბანკის ბარათის მფლობელ ფიზიკურ პირებს მიეცათ შესაძლებლობა, ორი თვის განმავლობაში, დისტანციური არხებით - მობილბანკით და ინტერნეტბანკით საკომისიოს გარეშე განახორციელონ ტრანზაქციები.

ბანკი ოპერატიულად გადავიდა ნახევრად დისტანციურ მართვის მოდელზე, რათა უზრუნველეყო როგორც თანამშრომლების, ასევე მომხმარებლის უსაფრთხოება.

რამდენიმე დღის წინ ბანკმა გამოთქვა მზადყოფნა და ჯანდაცვის სამინისტროსთვის შეიძენს 25 000 ლაბორატორიულ ტესტს. სამინისტროს უკვე გადაეცა 50 000 პირბადე, 60 000 ხელთათმანი და 10 სასუნთქი აპარატი.

როგორც ერთ-ერთი მსხვილი ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც ემსახურება 2,5 მილიონზე მეტ მომხმარებელს და დასაქმებული ყავს 8000-მდე ადამიანი, ამ მძიმე სიტუაციაში სრულად ვითვალისწინებთ ჩვენს პასუხისმგებლობას როგორც ჩვენი თანამშრომლების, ასევე მომხმარებლის წინაშე.

თიბისი ბანკი

თიბისი COVID 19-ის გამოწვევების დასაძლევად 5 მილიონ ლარზე მეტს გაიღებს.

„თიბისი შენთვის“ - თიბისი საქართველოს მოსახლეობის მხარდასაჭერად პროგრამას ქმნის, რომელიც COVID-19-ის მიერ მიყენებული ზიანის შესამცირებლად თიბისის ინიცირებულ ყველა პროექტს გააერთიანებს.

მხარდაჭერის პროგრამა 2 კომპონენტისგან შედგება: 2 მილიონი ლარი სოციალური დახმარების ინიციატივებისთვის, სადაც აქცენტი გაკეთდება დისტანციური განათლების ხელშეწყობაზე, ხანდაზმულების დახმარებასა და ციფრული ტექნოლოგიების გავრცელებაზე; 3 მილიონ ლარზე მეტი კი, მომდევნო ორი თვის განმავლობაში მომხმარებლების საკომისიო ხარჯის შესამსუბუქებლად, როგორც ფიზიკური პირების, ისე ბიზნესებისთვის.

თიბისი აგრძელებს მომხმარებლისთვის სერვისების შეუფერხებლად მიწოდებას.

მომხმარებლების ცხოვრების გასამარტივებლად, თიბისი უწყვეტ რეჟიმში, გამართულად და შეუფერხებლად აგრძელებს მათთვის საბანკო სერვისების მიწოდებას, როგორც დისტანციური არხების, ისე სერვისცენტრების და ცხელი ხაზის საშუალებით.

შეუფერხებლად ფუნქციონირებენ ბანკომატები, სწრაფი ჩარიცხვის აპარატები. გაძლიერებული რეჟიმით მუშაობს თიბისის ცხელი ხაზი.

თიბისის გადაწყვეტილებით, მომდევნო 2 თვის განმავლობაში, ინტერნეტ და მობაილბანკში შესაძლებელია გაუმჯობესებული პირობებით, შემდეგი სერვისებით სარგებლობა:

— 0% საკომისიო ყველა ტრანზაქციაზე (ნებისმიერ ვალუტაში სხვასთან ანგარიშის და მობილურის ნომრით გადარიცხვაზე, კომუნალურების გადახდაზე, მობილურის შევსებაზე);

— პინის გარეშე გადახდის ლიმიტი გაიზარდა 100 ლარამდე და ხელმისაწვდომია თიბისის ნებისმიერი უკონტაქტო გადახდის მეთოდისთვის;

— 1%-ით გაზრდილი წლიური სარგებელი ლარში ანაბრის გახსნისას;

— ახალი სადებეტო ბარათის შეკვეთისას პირველი წლის მომსახურება საკომისიოს გარეშე;

— ბარათის პინ-კოდის აღდგენა;

— ბარათის დაბლოკვა ან ბლოკის მოხსნა;

— სესხის აღება ან დეპოზიტის გახსნა;

თიბისიმ ფიზიკურ პირებს, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნეს მსესხებლებს და ასევე ყველა ბიზნესს, რომელიც ტურისტულ, კვების და ისეთ ინდუსტრიაში საქმიანობს, რომელიც საზოგადოებრივი თავშეყრით ხასიათდება, სესხებზე სამთვიანი საშეღავათო პერიოდი შესთავაზა.

თიბისი მოუწოდებს მომხმარებლებს მათი უსაფრთხოებისთვის ფილიალებში მისვლის გარეშე, სახლიდან გაუსვლელად შეასრულონ საბანკო ოპერაციები.

თიბისი აგრძელებს პარტნიორებთან ერთად მუშაობას და არსებული გამოწვევის ფონზე ბიზნესებისა და ადამიანების საჭიროებიდან გამომდინარე მათთვის გაუმჯობესებული სერვისებისა და მომსახურების შეთავაზებას.

პროგრამა—„თიბისი შენთვის“ ფარგლებში, თიბისი დაზღვევა, COVID19-ის რისკის ქვეშ მყოფი ექიმებისა და ექთნებისთვის 300, 000 ლარს გამოყოფს.

ყველა ექიმი და ექთანი, რომელიც საქართველოს მოქალაქეების ჯანმრთელობისთვის იბრძვის და საფრთხის ქვეშ აყენებს საკუთარ და ოჯახის ჯანმრთელობას, COVID19-ით დაინფიცირების შემთხვევაში, თიბისი დაზღვევისგან 10,000 ლარამდე სადაზღვევო კომპენსაციას მიიღებს.

„თერჯოლა“

ყველაზე საშიში ინფექციური დაავადებები...

ვირუსები და ბაქტერიები ყოველთვის თანაარსებობდნენ ადამიანების გვერდით, განიცდიდნენ მუტაციას და რიგ შემთხვევაში ასნებოვებდნენ თავად ადამიანს.

განსხვავებით დღევანდელობისა, შორეულ და არც თუ შორეულ წარსულში არ არსებობდა ვაქცინები, არც იყო არც პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ეფექტური საშუალებები, არ იცოდნენ არც დაავადებათა გამომწვევი მიზეზები, შედეგად, შესაბამისად ძალიან მაღალი იყო ლეტალობა (გარდაცვალება).

კაცობრიობას არა ერთი გადამდები ინფექციური დაავადება ახსოვს, რომელიც მთელ დედამიწას მოედო და ათეულობით მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა — ე.წ. „ისპანკა“, შავი ჭირი, ქოლერა, შიდსი, ქათმისა და ღორის გრიპი და ა.შ.

„ისპანკა“

კაცობრიობის უახლოეს ისტორიაში ყველაზე დიდი სიკვდილიანობა გამოიწვია ინფექციურმა დაავადებამ ე.წ. „ისპანკამ“. ეს პანდემია მთელ მსოფლიოს 1918-1920 წლებში მოედო და მან დაუზუსტებელი მონაცემებით 50 მლნ. ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დაავადების სახელწოდება მოდის



ესპანეთიდან, სადაც მისი პირველი შემთხვევები დაფიქსირდა. „ისპანკა“, რომელიც დედამიწის მოსახლეობის თითქმის 70%-ს შეეყარა, საქართველოშიც გავრცელდა და სიკვდილიანობაც ბევრი გამოიწვია.

თანამედროვე მეცნიერების შეფასებით „ისპანკას“ გამომწვევი ვირუსი და „ღორის გრიპის“ გამომწვევი ვირუსი ერთი და იგივეა.

ჯილეხი ანუ ციმბირის წყლული...

ჯილეხი (ციმბირის წყლული) განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებაა. ბაქტერია იკეთებს სპორას და ნიადაგში ათწლეულები ძლებს. საქართველოში რეგისტრირებულია 2000-ზე მეტი ჯილეხით დაავადებულ და დაცემულ ცხოველთა მრავლობითი მანიფესტური (მოქმედი, ნიადაგობრივი) კერა.

ჯილეხით ძირითადად ავადდებიან შინაური და გარეული ბალახისმჭამელი ცხოველები, კერძოდ: მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი, ღორი და ა.შ. სიკვდილიანობა ძალიან მაღალია, განსაკუთრებით ბალახისმჭამელ ცხოველებში. ჯილეხით ადამიანების უმეტესობა ავადდება დაავადებული ცხოველის მოვლის, დაკვლის, ხორცის, მატყლის, ტყავის, ბეწვის დამუშავების დროს, იშვიათად მიწის სამუშაოებისას იმ ტერიტორიებზე, სადაც დაავადებული ცხოველები იმყოფებოდა (ცხოველთა სამარხები და მათი მიმდებარე ტერიტორია). ასევე ინფიცირებული თერმულად დაუმუშავებელი ხორცის გამოყენებით.

ჯილეხის სპორას ვერ ანადგურებს ხორცის დამარილება, შებოლვა, გამოშრობა ან სხვა მსგავსი ტექნოლოგიები. საქართველოში, ძირითადად ადამიანებში, გვხვდება ჯილეხის კანის ფორმა. აუცილებელია ექიმის დროული კონსულტაცია და მკურნალობა, დაგვიანებული მიმართვის შემთხვევაში ინფექცია შესაძლოა გართულდეს და დასრულდეს სიკვდილით.

შავი ჭირი

შავი ჭირი ყველაზე საშიში ინფექციური დაავადებაა, რომელიც კაცობრიობას გადახდა თავს. შავ ჭირს მეორენაირად უწოდებენ „ჭირის პანდემიას“. შავი ჭირი რამდენიმეჯერ დაატყდა თავს დედამიწას. თავდაპირველად ჩინეთში იფეთქა, შემდეგ ევროპაში და აფრიკაში.

ეს დაავადება უსწრაფესად მოედო ჩინეთს და მონღოლეთს. სავარაუდოდ, იგი გობის უდაბნოში გაჩნდა მღრღნელებისა და ზაზუნების დახმარებით, კერძოდ კი, მათ რწყილში. იმ დროისთვის მღრღნელებისა და ზაზუნების ტყავი ძვირად ფასობდა, ასევე ზაზუნის ხორცი დელიკატესად ითვლებოდა, ამიტომ მონღოლელებმა ქარავნებით ევროპაში გასაყიდად შეიტანეს ზაზუნები, მაგრამ რას წარმოიდგენდნენ, რომ ეს 60 მილიონი ადამიანის სიცოცხლეს იმსხვერპლებდა.

სანამ პანდემია ევროპამდე მიაღწევდა, იგი გავრცელდა ინდოეთშიც. ჭირს აგრეთვე თან დაატარებდნენ მონღოლები აბრეშუმის დიდ გზაზე. მათ მალე ევროპაშიც მიაღწიეს. ევროპაში სხვადასხვა მიზეზების გამო, დაავადება ძალიან სწრაფად გავრცელდა. ამან დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. დაავადებამ ძალიან სწრაფად დახოცა ევროპის მოსახლეობის 1/4 ნაწილი.

დაავადების დამახასიათებელი ნიშნებია: თავის ტკივილი, ოფლიანობა, კანკალი, ციებცხელება. შავი ჭირის მთავარი მანიშნებელი არის ჩირქიანი წყლულები, ე.წ. „ბუბონები”.

ქათმის გრიპი

ქათმის გრიპის გამომწვევი ვირუსის ბევრი სხვადასხვა სახეობაა ცნობილი, თუმცა მეცნიერებისა და ექიმების შეშფოთებას იწვევს: H5N1. ვირუსის გადაცემა ხდება გარეული ფრინველებისაგან შინაურ ფრინველებზე, რაც იწვევს მათ დაღუპვას. ადამიანებზე ქათმის გრიპის გადაცემა ხდება ფრინველის ნერწყვის, გამონაყოფების, ზოგ შემთხვევაში კი ფერმერული ხელსაწყოების მეშვეობით. ვირუსის გადაცემა არ ხდება მომზადებული ფრინველის ხორცის მირთმევით, რადგან საკმარისი თერმული დამუშავებისას ქათმის გრიპის ვირუსი იღუპება. ქათმის გრიპის მიმართ ადამიანის იმუნური სისტემა დაუცველია, რის გამოც მაღალია ლეტალობა.

ქათმის გრიპის ძირითადი ნიშნებია: მაღალი ტემპერატურა, ხველა, ყელის ტკივილი, კუნთების ტკივილი, თუმცა ხშირად ვითარდება პნევმონია და რესპირაციული დისტრეს—სინდრომი.

ქათმის გრიპისას აუცილებელია ავადმყოფის იზოლაცია. მკურნალობა დამოკიდებულია გრიპის სიმპტომებზე, გამოიყენება ანტივირუსული პრეპარატები.

ქოლერა

ქოლერა ნაწლავის მწვავე დაავადებაა, რომელიც გამოწვეულია ინფექციით. დაავადება აქტიურდება ზაფხულის პერიოდში. მისი გამომწვევი მიზეზებია: ბაქტერიებით დაავადებული პროდუქტებისა და წყლის გამოყენება; დაინფიცირებულ წყალსაცავებში ბანაობა; დაინფიცირებული საგნების გამოყენება.

ახასიათებს შემდეგი სიმპტომები: დიარეა; დეფეკაციის ხშირი მოთხოვნა; ღებინება; ორგანიზმის გაუწყლოება; ტემპერატურის დაცემა 34,5 გრადუსამდე; საერთო სისუსტე; წყურვილი; კუნთების კრუნჩხვები; ტაქიკარდია; კანის სიმშრალე; თავბრუსხვევა; არტერიული ჰიპერტენზია; ხმის ჩახლეჩვა.

ამ დაავადებას შეუძლია გამოიწვიოს: პნევმონია; თრომბოფლებიტი; ჩირქოვანი ანთებითი პროცესები; ნაწლავის იშემია; მიოკარდის ინფარქტი; ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევა;

დაავადების პროფილაქტიკისათვის საუკეთესო საშუალებაა: სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა; გადადუღებული წყლის გამოყენება; დაავადებულ ადამიანთან კონტაქტის შეზღუდვა; წყლის წყაროების მდგომარეობის გამოკვლევა; საკანალიზაციო ნარჩენების დროული გაწმენდა.

„ღორის გრიპი“

ამ დაავადებას იწვევს A(H1N1) გრიპის ახალი ვირუსი. ეს ვირუსი ახალია და პირველად დაფიქსირდა აშშ-ში, 2009 წლის აპრილში. ადამიანური შემთხვევები ამჟამად დარეგისტრირებულია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. A(H1N1) გრიპის ახალი ვირუსის გადაცემა ადამიანიდან ადამიანზე, სავარაუდოდ, ისევე ხდება, როგორც სეზონური გრიპის ვირუსისა.

რატომ უწოდებენ A(H1N1)-ს ზოგჯერ ღორის გრიპს?

ახლად გამოვლენილ გრიპის ვირუსს თავიდან უწოდებდნენ ე.წ. „ღორის გრიპს”, რადგან ლაბორატორიულმა ტესტირებამ აჩვენა ამ ვირუსის გენეტიკური შემადგენლობის მსგავსება იმ გრიპის ვირუსისადმი, რომელიც ჩვეულებრივ ჩრდილო ამერიკაში ღორებში ცირკულირებს. შემდგომი კვლევებით დადგინდა, რომ ეს ახალი ვირუსი მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩრდილო ამერიკაში ღორებში ჩვეულებრივ მოცირკულირე ვირუსისგან. ახალი ვირუსის 2 გენი არის გრიპის ვირუსებიდან, რომელიც ცირკულირებს ღორებში ევროპასა და აზიაში, ხოლო დანარჩენი ფრინველებსა და ადამიანში მოცირკულირე გრიპის ვირუსის გენებია.

A(H1N1) გრიპის ახალი ვირუსის სიმპტომები მსგავსია ჩვეულებრივი ადამიანის გრიპის სიმპტომებისა და მოიცავს შემდეგს: ცხელება, ხველა, ყელის, კუნთებისა და სახსრების, თავის ტკივილი, შემცივნება, საერთო სისუსტე, ზოგჯერ დიარეა და პირღებინება. ისევე, როგორც სეზონური გრიპისას, დაავადებას ხანდახან ახასიათებს მძიმე მიმდინარეობა და გარდაცვალება.

დაავადების თავიდან ასაცილებლად საჭიროა გატარდეს გრიპის პრევენციის ზოგადი ღონისძიებები: მოერიდეთ კონტაქტს იმ ადამიანებთან, რომლებიც თავს შეუძლოდ გრძნობენ, აღენიშნებათ ცხელება და ხველა; ეცადეთ არ შეეხოთ იმ ზედაპირებს, რომლებიც შეიძლება იყოს დაბინძურებული გრიპის ვირუსით. მოერიდეთ დაავადებულებთან კონტაქტს; ხშირად და საფუძვლიანად დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით; ეცადეთ იცხოვროთ ჯანსაღი ცხოვრების წესით, ეცადეთ იყოთ კარგ ფიზიკურ ფორმაში. კარგად გამოიძინეთ, იყავით ფიზიკურად აქტიურნი. თავი აარიდეთ სტრესებს, მიიღეთ საკმარისი რაოდენობით სითხე და სასარგებლო საკვები.



P.S. დაავადების სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს!

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75
მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპოდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: gazetiterjola@mail.ru

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872